ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 51

ქალაქი ქუთაისი 28 დეკემბერი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის № 79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის, 23–ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №79 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26.02.2015, №010250020.35.123.016289), კერძოდ, დადგენილების 1–ლი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** დადგინდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის ზედა ზღვარი დროის შემდეგი მონაკვეთებით:

1. 1 საათამდე პერიოდი – 50 (ორმოცდაათი) თეთრი;
2. 3 საათამდე პერიოდი – 1 (ერთი) ლარი;
3. ყოველი შემდეგი 1 (ერთი) საათი – 50 (ორმოცდაათი) თეთრი;
4. 1 დღე – 2 (ორი) ლარი;
5. 7 დღე – 5 (ხუთი) ლარი;
6. 30 დღე – 10 (ათი) ლარი;
7. 182 დღე – 30 (ოცდაათი) ლარი;
8. 365 დღე – 60 (სამოცი) ლარი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №-12